№ 276

1877—1894

№ 276

პარასკევი, 30 დეკემბერი 1894

# ივერია

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

პარასკევი, 30 დეკემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა.

კვირას, 1 იანვარს, 1895 წ.

დაიწყება გამოფენა ჩვენის დროისათვის ბუნების ორის საკვირველებისა.

ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი ტყუპნი და ქონდრის კაცები.

დედამიწის ზურგზედ ამათზედ პაწია ცოლ-ქმარნი არ მოიპოვებიან.

დაწვრილებით ეს ამბავი აღნიშნულია აფიშებში. (2—360—1)

**დარია დიმიტრის ასული გძელიძევისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მეუღლისა მისისა მომრიგებელ-მოსამართლის **იოსებ სიმონის ძე გძელიძევისა**, დანიშნულია 31 ამ თვისას, პეტრე პავლეს ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ. (2—237—1)

**თამარა გრიგოლის ასული მდივანისა** თავისის შვილებითურთ აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ თვისის ქმრის განსვენებულის ბესარიონ გრიგოლის ძის ორმოცის წირვა იქნება 31 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, წმ. ბარბარეს ეკკლესიაში.
(1—204—1)

ქართული თეატრი

პარასკევს 30 დეკემბერს

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის“ დასისაგან წარმოდგმნილი იქნება ბ. ავალიშვილისა, ვ. ალექსეევ-მესხიევის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით

I

УДАНАШАУЛОД — **უდანაშაულოდ დასჯილნი**

კომედ.. 4 მოქ ოსტროვსკისა თარ. ი. მ—ისა

ორშაბათს, 2 იანვარს

მოსაგონებლად ქართულის თეატრის დაარსებისა (1850 წ. 2 იანვარს) წარმოდგენილი იქნება

**ბ ა ყ რ ა**

კომედ. 5 მოქმ. თხზულ. თ. გ. ერისთავისა

მუსიკალური განყოფილება და ცხოველი სურათები

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

წარმოდგენები დაიწყება სწორედ საღამოს 8 საათზედ. შეგირდებისათვის ადგილები ამფითეატრში 50 კ.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 5 მ. მოყოლებული 10 მ. პარტერში სკამები 65 კ. მოყოლებული 3 მ. დ. გალერეია 20—40 კ.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტანრი რ. დუმას ლოტბარობით.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

## ახალი ამბავი

—

*** ერთს ახალგაზდა ქართველ მწერალს გაუთავებია სახელმძღვანელოს შედგენა, რომელიც საეკონომიო მეცნიერების პირველ დაწყებითი ცნობებს შეეხება. წიგნი გაზაფხულამდე დაიბეჭდება.

*** 17 დეკემბერს პეტერბურგში კეთილ-შობილთა საკრებულოს დარბაზში სომხების საღამო იყო გამართული ღარიბ სომეხ-სტუდენტთა სასარგებლოდ. დარბაზი და ასავალი კიბეები მშვენივრად იყო მორთული. საღამო სამის განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველმა განყოფილებამ საზოგადოებაში აღტაცება გამოიწვია და რამოდენიმე სიმღერა გაამეორებინეს. დასასრულ კავკასიური ცეკვა მოჰყვა. ნაღდი შემოსავალი, როგორც ამბობს გაზ. «ნოვ. ობოზ.», 1,000 მანეთამდე ყოფილა.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა საიმპერატორო თეატრების მაშინისტის ბ-ნ ვალცის თანაშემწე ბ. ხმელევსკი, რომელმაც ახალის თეატრის სცენა უნდა მოაწყოს.

*** ბათუმი: 22—23 დეკემბერს, ღამე ლოლუას სახლებს, რომელიც რკინის გზის სადგურის მახლობლად არის, ცეცხლი გაუჩნდა. ამ სახლებში სხვა-და-სხვა სავაჭრო დუქნებია მოთავსებული. ცეცხლი პირველად დუქანს „ივერიას“ გაუჩნდა. რამდენისამე ხნის შემდეგ ცეცხლის მქრობელი რაზმი მიეშველა, თორემ სულ გადაიბუგებოდა იქაურობა. („კავკ.“)

*** სოფ. ბოდბისხევი: ძმებს—გეგენა და ზალიკო ბოქოლაშვილებსა, რაღაზედაც ჩხუბი მოუვიდათ. მესამე ძმა ნიკო მიეშველა. ამ დროს ზალიკომ წაიძრო ხანჯალი და საბრალო ნიკოს მუცელში გაარტყა. მაზრის ფერშალმა ვანო ნაცვლიშვილმა, რომელიც ქვემო ბოდბისხევში ყოფილიყო, მაშინვე შემწეობა აღმოუჩინა და დაჭრილი ეხლა უკეთ იმყოფება.

*** ქუთაისი: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა პოლიცმეისტრის პირით გამოუცხადა ადგილობრივს ებრაელთა საზოგადოებას, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, როდესაც ქუთაისის რუს-ებრაელთა რაბინის სმ. რიჟინაშვილის მიერ წარგზავნილი დეპეშა წაუკითხეს, რომელშიაც ქუთაისის საზოგადოება ულოცავდა მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას

## ფელეტონი

—

### ვინ არის?

(მოთხრობა დ. მორდოვცევისა)

II

(დასასრული*)

პილატე და საბინა დიდხანს არ დარჩენილან ცეზარიაში. დაათვალიერეს თუ არა ამ ქალაქის მდებარეობა, პილატემ საჭირო განკარგულება მისცა რომაელ ჯარის-კაცთ და იერუსალიმისკენ გასწიეს. ამათ სულითა და გულით უნდოდათ ენახათ იმ ხალხის დედა-ქალაქი, რომლის ზნეობრივ მხარეს ასეთს აღტაცებაში მოჰყავდა იმპერატორი.

იერუსალიმის ნახვამ განცვიფრებაში მოიყვანა პილატე და იმისი ცოლი; დაბლობს ადგილას გაშენებული ქალაქი, რომელსაც დარაჯად შემოსდგომოდა ბზისა, ლეღვისა, ზეთის ხილისა და ბროწეულის ხეებით აქოჩრილი მთები, ქამთავითარებისაგან დახავსებულ კედლით გარშემორტყმული, რომლის იქიდგანაც პირქუშად გამოიცქირებოდა სასახლეთა კოშკნი და მზისგან ალაპლაპებულნი ბანები წოწოლა გუმბათებით; სიმშვენიერითა და თავისს ხელოვნურის ნაშენობით განთქმული ბუმბერაზი ტაძარი, რომაელებს რაღაც საიდუმლო ადგილად მოეჩვენათ. ეს ქალაქი რაღაც მიუწვდომელის, უხილავის ღვთაების სამყოფელად ეჩვენათ, იმ ღვთაებისა, რომელსაც ვერასოდეს ვერ განიცდიდა რომაელის გონება, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს რომისა, საბერძნეთისა, ეგვიპტისა და თითქმის მთელის სამყაროს ღმერთებთან, იმ გვარის ღვთაების სამყოფელად ეჩვენათ, რომლის წარმოდგენა, გამოქანდაკება შეუძლებელია.

— ო, რა საშიშარია ეს ადგილი! თვისდა უნებლიედ წამოიძახა საბინამ, როდესაც მის თვალთა წინ მოულოდნელად, თითქოს მიწიდგან ამოძვრაო, გადიშალა ეს ქალაქი. სად არიან ამათი ღმერთები? სად არის იმათი ქანდაკებანი — რაც უახლოვდებოდა ანტონიას კოშკს—პილატეს სასახლეს, თანდათან უფრო ჰკვირდებოდა საბინა.

— მე მივცემ ჩვენის ღმერთების ქანდაკებებსა, პირქუშად შენიშნა პილატემ. რომის სამფლობელოში ყველგან ერთი და იგივე ღმერთები უნდა იყოს, ის ღმერთები, რომელსაც თაყვანსა სცემს იმპერატორი. ასე გაიფიქრა პილატემ და გადასწყვიტა კიდეც თავისი განზრახვა აღესრულებინა მაგრამ... რა იცოდა როგორ ხალხთანა ჰქონდა საქმე.

ეს-კი იყო, რომ პილატე დიდხანს ვერ დარჩებოდა იერუსალიმში. მთებით შემოზღუდული ქალაქი სულს უხუთავდა. ვერ შეეთვისა იქაურ მკვიდრთ. იმათს თვალებში რაღაც გაუგებრობა, რაღაც საიდუმლოება იხატებოდა, და ეს უცნაური გამომეტყველება ისევე გაუგებრად რჩებოდა პილატესათვის, როგორც გაუგებარი იყო მისთვის იმათი ღვთაება. ამაყის რომაელის გულს თავისუფლება სწყუროდა, სწყუროდა თვალუწვდენელი სივრცე—აკლდა განუწყვეტლად მოღუღუნე ზღვა, თვისის უთვალავის ხომალდებით, აკლდა გიჟმაჟი ცხოვრება, აკლდა მომჩქეფარი წყარო ცხოვრებისა და ამ გვარი ცხოვრება მარტო ცეზარეაში ეგულებოდა. მაგრამ საბინას თხოვნით პილატემ რამდენსამე დღეს კიდევ მოიცადა იერუსალიმში, რათა ენახათ ეს ქალაქი პასექის დროსაც, იმ დროს, როდესაც მთელის ურიასტანის მცხოვრებლები ამ წმიდა ქალაქში იყრიდა ხოლმე თავსა. აქვე პილატემ პირველად გაიცნო ურიასტანელების თავისებური სასამართლო და ძალაუნებურად დაემორჩილა ამ სასამართლოს განაჩენს.

რამდენისამე დღის წინად, პასექამდის, დილით ადრე პილატემ შენიშნა, რომ იმის სასახლისკენ სინედრიონის წინამძღვრობით მიჰლელავდა მთელი ბრბო ხალხისა და იმათ შემდეგ ჯარის კაცთ ოთხი შებორკილი კაცი მიჰყავდა.

როდესაც სინედრიონის წევრნი მიუახლოვდნენ პილატეს სასახლეს, რაღაცა უთხრეს სასახლის დარაჯებს, შემდეგ წაიყვანეს ის ოთხი შებორკილი კაცი და პრეტორიაში შევიდნენ. ხალხი-კი სასახლის ფანჯრების წინ დარჩა, მაგრამ ყვირილითა და ხელების ქნევით რაღასაც ხმაურობდა.

პილატე მაშინვე გამოეგება სინედრიონს და ჰკითხა: „რისთვის მოსულხართო“. ანნა და კაიაფას ნალაპარაკევიდგან გაიგო, რომ ის ოთხი კაცი ავაზაკები ყოფილან თურმე, რომლებიც იმალებოდნენ იერიქონსა და იერუსალიმში მიმავალის გზის მახლობლად, გამვლელ-გამომვლელთ სძარცვავდნენ და ზოგს კიდეც ჰხოცავდნენ. გაიგო, რომ ეს ავაზაკები ამ რამდენისამე დღის წინად დაეჭირათ, განესაჯათ და სიკვდილი— ჯვარზედ გართხმა —მიესაჯათ.მაგრამ ამასთანავე გაიგო, რომ ხალხის ჩვეულებით, რადგანაც აღდგომა მოახლოვებული იყო, ერთ-ერთი ბოროტ-მომქმედი ქვეყნის მმართველს უნდა შეეწყნარებინა, ხოლო ხალხის ჩვენებით-კი.

მოისმინა რა ყველა ეს, პილატე, სინედრიონისა და ბრალდებულთა თანახლებით კამარა შეკრულს სასახლის დერეფანში გამოვიდა.

ხალხის ყაყანი უცბად შესწყდა.

— ურიასტანელნო, მიუბრუნდა პილატე ხალხსა, რომელი ბოროტმომქმედი გინდათ, რომ, ჩვეულებისამებრ თქვენისა, გავანთავისუფლოთ.

— ბარრაბა, ბარრაბა!.. ერთხმად იგრიალა ხალხმა.

— აბა რომლის განთავისუფლებასა თხოულობენ? მიუბრუნდა პილატე კაიაფას.

კაიაფამ უჩვენა ერთი ჯმუხი, ტანდაბალი ბოროტ-მომქმედი, რომელიც გულ-გრილად შეჰყურებდა ებრაელთა ბრბოს და რომლის შავმა თვალებმაც განთავისუფლების გაგონებაზედ, სიხარულით გაიელვა.

— არა, რად უნდა გავანთავისუფლოდ უთუოდ ეს და არა სხვა ვინმე? ჰკითხა პილატემ და ერთს ბრალდებულს დააცქერდა, რომლის სახეზედაც საშინელი ტანჯვა იხატებოდა.

— ბარრაბა ურიასტანელია და სხვები-კი ძაღლები, სამარიტელები არიან!.. დაიძახა ხალხმა.

— იყავნ ნება თქვენი, ვანთავისუფლებ ბარრაბას! სთქვა პილატემ.

ამ დროს საბინა გადამდგარიყო სასასხლის ერთ-ერთს ფანჯარაზედ და ხან აღელვებულ ბრბოს შესცქე-

* იხ. «ივერია», № 275.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწინებას და უცხადებდა თავისს უქვეშევრდომილესს ერთგულებასა, ყოვლად მოწყალედ ინება მადლობის გადახდა ასეთის გრძნობით აღსავსე მილოცვისათვის.

*** იქიდგანვე: ქალაქის საბჭომ უკანასკნელს სხდომაზედ გადასწყვიტა, გაჰგზავნოს პეტერბურგში დეპუტაცია, რომელიც უნდა შესდგეს: ქალაქის თავის ლ. ტ. ლოლუასა და ხმოსნებ გ. ო. კემულარიასა და ლ. პ. კოკოჩაშვილისაგან. დეპუტაცია მიულოცავს ქორწინებას მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას და ძმათა ხლებნიკოვების მიერ გაკეთებულს ვერცხლის სინით, რომელზედაც ქუთაისის სახეა ამოჭრილი, პურ-მარილს მიართმევს.

*** მამადავითის მღვდელს მ. მაჭარაშვილს განუზრახავს გამოსცეს პატარა წიგნაკი, რომელშიაც აღწერილი იქნება მამადავითში დასაფლავებული რუსეთის მწერლის ა. გრიბოედოვისა და ღირსეულ მოხუცის, დიდებულის ქართველის დიმიტრი ყიფიანის საფლავების და იმათ დროის ზოგიერთა შესანიშნავი ამბები. იმედია, ყველასათვის საყურადღებო იქნება ეს წიგნაკები და ბევრს იმისთანა ამბავს გაახსენებს ქართველებს, რომლებიც დღეს მივიწყებულია. მაჭარაშვილი ჰფიქრობს წიგნაკები 4 იანვრისათვის, ე. ი. გრიბოედოვის დაბადების ასის წლის თავზედ, მზად ჰქონდეს.

*** ახალქალაქი: აქ 80 ახალი ყაზარმა და სხვა-და-სხვა გვარი ფლიგელები უნდა აშენდეს. დიდძალი მასალა უკვე მოზიდულია და წელს (1895) გაზაფხულზედ უკვე შეუდგებიან აშენებას, რომ 1896 წ. ერთს რაზმსა და ექვსს ბატარეა ჯარს შეეძლოს მოთავსება. ინჟენერი ხოჯამინასოვი (ღენერალი) აშენებს.

*** ახალსენაკი: ნოემბრის შუა რიცხვებიდგან აღმოსავლეთის დიდი და ღონიერი ქარი ჰქრის, რომელიც საკმაო ზარალს იძლევა. ასეთს გაგძელებულს ქარებს დიდი ხანია, რაც არ მოსწრებიან აქაურები.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა): როგორც თავისს დროზედ „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული, სოფ. თეკლათში საქონლის ჭირი მძვინვარებდა. ახლა თითქმის სრულიად მოისპო, მაგრამ ზარალი საკმაო დამართა ყველას. აქაურებს დღესაც გახიზნული ჰყავთ თავიანთი საქონელი ტყეებში. თუ არ გაეხიზნათ, სწორედ დიდი ზარალი მოუვიდოდათ.

***

გულს ნუ გაიტეხ, ჭაბუკო,
ბედის უკუღმა ტრიალით,
თუნდ გენგრეოდეს თავზე ცა
ჭექა-ქუხქით და გრიალით.
ქვეყნად მოისპვის, დასცხრება,
ვინცა გმტრობს ხლმისა ტრიალით
დრო მოვა, ერთობის დროშა
დაგვატკბობს თვისის ფრიალით.
უძლური გმირად შეიქმნვის,
უტყვთ აღემვრებათ ენანი,
ჩაგრულთა მიენიჭებათ
დასატკბობათა ლხენანი,
სიმართლეს ქებით შეამკობს
ქვეყნად ურიცხვი ენანი...
გამხნევდი! მომმეთ დასძახე:
„გაიმახვილეთ სმენანი,
სიმართლის მქბნელს მიხვდება
ბირკვლში უხვად წყენანი...

დ. ნინო-წმინდელი

## რუსეთის ცხოვრება

—

ხმოსანს მ. მ. სტასულევიჩს პეტერბურგის საბჭოსთვის გარდაუცია 150,000 მანეთი, რათა ამ ფულით აკადმყოფთათვის თავს-საფარი გაიმართოს. ეს ფული ხმოსნისთვის სხვა-და-სხვებს მიუციათ და თან უთხოვნიათ, ჩვენ სახელს ნუ გამოაცხადებთო.

—

გარეშე საქმეთა მინისტრი ავად გახდა. საქმეებს იმისი თანაშემწე შიშკინი აწარმოებს.

—

„ნოვ.“ გაუგონია, რომ ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე სენატორი ბარონი მოდემი სხვა თანამდებობაზედ იქნება დანიშნულიო.

—

ახალის თანამდებობის მიღების გამო, გრაფს შუვალოვს ეგისრება მმართვა-გამგეობა იმ მხარისა, რომელიც თხოულობს გონივრულსა და წინდახედულს მოქმედებასა. ეს მოვალეობა სწორედ დიდ მნიშვნელოვანია და ამას ამტკიცებს მის სახელობაზედ უმაღლესად ნაბოძებ რესკრიპტის სიტყვებიც. „მოგიწვიეთ-რა სახელმწიფო სარგებლობისათვის ასეთს დიდს ადგილზედ, როგორიცაა თანამდებობა ვარშავის გენერალ-გუბერნატორისა და ვარშავის სამხედრო ოლქისა და ჯარების უფროსობა, მე ვგრძნობ საჭიროებას, გულითადი მადლობა განგიცხადოთ როგორც მამულისა, ისე ტახტის ბრწყინვალე სამსახურისათვის და ის იმედი გამოვსთქვა, რომ თქვენი შრომა იქმნება ნაყოფიერი იმ მხარის კეთილდღეობისა და წინმსვლელობისათვის, რომლის მმართველობაც დღეიდგან თქვენა გბარდებათ“.

## უცხოეთი

—

ლონდონის საპოლიტიკო წრეებში სხ. და სხ. გვარი საშიში ხმა ისმის იმ სამხედრო წერილის გამო, რომელიც მომავალის ბედს შეეხება და რომელიც ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა „Milit. Wachanblatt“-ში. ამბობენ, რომ ეს წერილი იმპერატორის ვილჰელმის დაწერილიაო.

—

ლეონტიევის თაოსნობით შემდგარი რუსეთის ექსპედიცია ცოტა არ არის აშინებს ინგლისელებს; იმათ ჰგონიათ, რომ რუსეთი თანხმობას არ გამოაცხადებს, ეგვიპტე ინგლისის სხვა კოლონიებს (ახალშენებს) შეუერთდესო.

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სადიპლომატო კორპუსმა ახალი წელიწადი მიულოცა. საპასუხო სიტყვაში კაზიმირ-პერიეს სხვათა შორის უთქვამს, რომ საფრანგეთი გამსჭვალულია მშვიდობიანობის გრძნობით და სურს თავისი დრო თავისუფლების განვითარებას მოანდომოსო.

—

**ინგლისი.** როგორც უკვე ვუწყით წარსულს შაბათს იდღესასწაულეს გლადსტონის დაბადებიდგან 85 წლის შესრულების დღე. გლადსტონმა მთელი დღე კონვენტის ბაღში გაატარა და მთელის დღის განმამავლობაში მარტო ერთხელ გამოვიდა გარედ ეკკლესიაში წასასვლელად, სადაც დახვდა სომეხთა დეპუტაცია. დილითგანვე მრავალი დეპეშა და საჩუქარი ამოუვიდა როგორც კერძო კაცთა, ისე სხვა-და-სხვა დაწესებულებათაგან. ყველაზედ პირველად მოუვიდა დეპეშები: უელსის პრინცისა და ვესტმინისტერის დუკისაგან, რომელმაც გლადსტონის მეუღლეს თაიგულიც გამოუგზავნა. იმ უთვალავ ადრესებიდგან, რომლებიც წარუდგინეს ლიბერალთა, კონსერვატორთა, მუშათა საზოგადოებათ, უნდა აღვნიშნოთ ადრესი მიდლოთიანის ლიბერალთა საზოგადოებისა, რომელშიაც სხვათა შორის უცხადებენ: „ჩვენ ყოველთვის სიამაყითა და მადლობით მოვიხსენიებთ სიკეთესა, რომელიც შენ, ჩვენის საზოგადოების წევრად ყოფნის დროს, მოჰფინე მთელს ქვეყანას, იცავდი და შეგქონდა რა ცხოვრებაში იმ გვარი წესები, რომელსაც სარჩულად ედო მშვიდობა, თავისუფლება და განდიდება მთელის ერისა.

## ჩვენის საეკკლესიო საგალობელთა ნოტებად გადაღებისა და ბეჭდვის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბევრი კარგი თვისება მოეპოვება ადამიანს, ხოლო არა ვგონებ თანაგრძნობას რამ აღემატებოდეს. ეს თვისება იმითია კარგი, რომ იგი ნეტარებასა და სიამოვნებას აგრძნობინებს თვით თანამგრძნობსაც და იმასაც, ვისაც თანაუგრძნო. ამის დასამტკიცებლად თვით ჩემის ცხოვრებიდგანვე მოვიყვან ერთს უბრალო მაგალითს.

ერთს ბავშვს ღვინით ბოთლი გასტეხოდა და სახლისაკენ ტირილ-ღრიალით გარბოდა. შემებრალა ბავშვი და ბოთლი და ღვინის ფული მივეცი. როცა ბავშვმა ხელ-მეორედ ღვინო იყიდა და თავისი ტიტველა ფეხებით სახლისაკენ სიხარულით და ხტუნვით გასწია, რაც იმ წამს მე სიამოვნება ვიგრძენ, სულ ამისთანა წამებისაგან რომ შესდგებოდეს ადამიანის სიცოცხლე, მაშინ, როგორც საღმრთო წერილი მოგვითხრობს, ქვეყანაზე ცხოვრება „ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ იქნებოდა. ეხლაც რომ მოვიგონებ იმ შემთხვევას პირზე ღიმილი მომივა და სახე გამინათლდება ხოლმე.

თუ ამისთანა მცირე საქმემ ასეთის ძალით იმოქმედა ჩემზედ, მაშასადამე რამდენად ბედნიერი უნდა იყოს ის, ვინც სრული სათნოებიანია და მომქმედი დიდის საქმეებისა. ამისთანა კაცის სახე უთუოდ მუდამ გაბრწყინვებული და განათლებული უნდა იყოს და იმისი სხივი ბევრის სულსა და გულს აბრწყინვებდეს და ანათლებდეს.

რა თქმა უნდა ამისთანა მაღალღირსებიანს ადამიანს ამოქმედებს მხოლოდ უზენაესის განუსაზღვრელი სიყვარული, ხოლო ამ სიყვარულს-კი ისე მთლად და სავსებით ვერა აგრძნობინებს-რა ადამიანს, როგორც კარგი და წყობილი გალობა. ამისი

---

როდა, ხან-კი ბრალდებულთა დატანჯულ სახეს, უცბად, თითქოს მზის სხივი მოხვდაო, შეტოკდა.

— ოჰ, ღმერთებო! შეშინებით წამოიძახა მან: ისევ ის თვალები! ისევ ის, ეს ყველასაგან უცნობი ჭაბუკი.

საბინამ ხალხში თვალი მოჰკრა იმ ჭაბუკს, რომელმაც გააკვირვა იგი ცეზარეაში. იმის გვერდით იდგა ისევ ისე „მეორე“, აქლემის მატყლის ტანისამოსიანი. ჭაბუკს თავისი მშვიდი, მოლურჯო თვალები ბრალდებულებისთვის მიეპყრო. მაგრამ... რამდენი სიბრალული, რამდენი მწუხარება და სიყვარული იხატებოდა ამ საკვირველს თვალებში. აგერ ცრემლის კურცხალიც-კი გადმოეკიდა.

— ოჰ, ღმერთებო!.. აქვითინდა საბინაც: ვინ არის? ვინ არის ეს ღვთაებრივი ჭაბუკი?!.

ბრალდებულები ძირს ჩამოიყვანეს, სადაც ელოდნენ დარაჯები, რომელთაც ხელში სამი ვეებერთალა ჯვარი ეჭირათ, ეს ჯვრები მაშინვე წამოჰკიდეს სასიკვდილოდ გამზადებულთ, ხოლო ბარრაბას ულოცავდნენ განთავისუფლებას.

ხალხი დაიძრა სასამართლოს კარებისაკენ, შორს, გოლგოთა მოსჩანდა... ბრალდებულთ ორსავე მხარეს ჯარის კაცნი მოსდევდნენ, ამათ შემდეგ-კი ხალხი მოდიოდა, ნამეტნავად ქალები და ბავშვები. გულჩათუთქული პილატეს ცოლი თვალცრემლიანი ადევნებდა თვალ-ყურს ამ სანახაობას. იგი ჰხედავდა, როგორ მხნედ მიდიოდა ორი ბრალდებული და თამამად ეზიდებოდა თავისს სიკვდილს. მხოლოდ მესამე-კი ძლივ ძლივს მიდიოდა, მალ-მალე მუხლთ ეკეცებოდა, შესდგებოდა ხოლმე, გაისწორებდა საზარელს ტვირთს და კვლავ გაჭირვებით მიეზიდებოდა. აგერ დაიფორხილა და წაიქცა კიდეც. ერთმა გულ-ქვა ჯარის-კაცთაგანმა მათრახი მოიმარჯვა, მაგრამ ამ დროს მასთან მივიდა საბინას გამკვირვებელი ჭაბუკი და მშვიდად უთხრა: „ნუ, ნუ დაჰკრამ, მე ვუშველი ჯვარის ზიდვასაო“. ამ სიტყვებით ჭაბუკმა ბრალდებული ფეხზედ წამოაყენა, შეუგდო თავისი ღონიერი მხარი ჯვარსა, ცალი ხელი ბრალდებულს მოჰკიდა და გაუდგა გზას.

— ოჰ, ღმერთებო, კვლავ სტიროდა კეთილი ქალი. ვინ არის? ვინ არის ეს ღვთაებრივი ჭაბუკი?!.

შემდეგ, როდესაც გული მოიოხა ტირილით, ანტონის კოშკის სართულზედ ავიდა და იქიდგან გოლგოთისაკენ გაიხედა.

მოტიტვლებული გოლგოთის მთა პირქუშად გამოიყურებოდა. მის წვერზედ კი, რომელიც ეხლა ხალხით იყო დაფენილი, ნათლად მოჩანდა სამი ნაკვთი, რომლებიც თითქოს ლურჯად მოკაშკაშე ცის დასავლისზედ მიჰკრობოდნენ. ეს სამი სურათი ჯვრები იყო. ჯვარზედ გაკრულები არა სჩანდნენ, მაგრამ საბინამ კარგად იცოდა, რომ ჯვარ-ცმულნი გადმოსცქერიან იმ საშიშარს ქალაქს, რომელმაც მათ ასეთი საზარელი სასჯელი მიუსაჯა.

— მაგრამ ის? ის სადღაა!.. ამოსძახოდა გული: იქნება ისიც გადმოიცქირება?!..

### III

დაბრუნდა თუ არა პილატე ცეზარიაში, მაშინვე მოინდომა თავისი განზრახვა „იმპერატორის ღმერთების“ შესახებ აღსრულებაში მოეყვანა.

იოსებ ფლავი თავისს შესანიშნავ თხზულებაში „ურიასტანელთა ომი“ ამბობს რომ, პილატემ უბრძანა ღამე შეეტანათ იერუსალიმში იმპერატორის ქანდაკება, რომელსაც რომაელები „Signa“-ს უწოდებდნენ. მეორე დღეს, ურიასტანელები მეტის მეტად აღელვდნენ და რომლებიც ამ ქანდაკების მახლობლად იყვნენ, ამათ ხომ სულ თავზარი დაეცათ, რადგანაც ეს სჯულის შეგინებად ჩასთვალეს ურიასტანელებს სჯული ნებას არ აძლევთ თავიანთ ქალაქში რაიმე ძეგლი იქონიონ. მოქალაქეთ სოფლებიც მოემხრნენ და ეს უშველებელი ბრბო ცეზარიასკენ წავიდა: უნდოდათ პილატესთვის ეთხოვათ, რომ ქანდაკება იერუსალიმიდგან გაეტანათ და მამაპაპათა სჯულისათვის შეურაცხება არ მიეყენებინათ. ხოლო როდესაც მისგან უარი მიიღეს, პირქვე დაეცნენ მიწაზედ და ხუთს დღე-და-ღამეს ფეხი არ მოუცვლიათო.“

„მეექვსე დღესაო, განაგრძობს იოსებ ფლავი, პილატე დაჯდა სამოსამართლო სავარძელზედ და ბრძანება გასცა მოეწვიათ ხალხი, ვითომდა გარდაწყვეტილების გამოსაცხადებლად. წინდა-წინვე-კი უბრძანა ჯარის კაცთ, როცა განიშნოთ, ხალხს გარს შემოერტყენითო. მართლაც, როდესაც ხალხს ჯარის-კაცები სამის მხრით შემოერტყა, ურიასტანელები გაშეშდნენ. მაგრამ, როდესაც პილატემ გამოუცხადა, რომ ვუბრძანებ ეხლავ ამოგჟლიტონ, თუ იმპერატორის ქანდაკებას არ მიიღებთო, ყველამ, თითქოს შეთქმულები არიანო, მოიყარა მუხლი, კისრები წინ წაიწიეს და მაღალის ხმით შესძახეს:

— მოვკვდებით და მამაპაპის რჯულს კი არ ვუღალატებთ!

ამ სარწმუნოებრივ თავ-განწირულებით გაკვირვებულმა პილატემ ბრძანა დაუყოვნებლივ გამოეტანათ იმპერატორის სახის ქანდაკება იერუსალიმიდგან.

ამ ამბის დროს იქვე იყო პილატეს ცოლიც. ორ მონა-ქალთან ერთად იგი გადასვენებულიყო სავარძელში და თუმც იმის წინ ფარდები იყო ჩამოფარებული, მაგრამ ძალიან კარგადა ჰხედავდა ყველაფერს. იგი გააკვირვა ებრაელთა მტკიცე სარწმუნოებამ.

მაგრამ იპოდრომში შეგროვილ ხალხს შორის იგი ამაოდ ეძებდა იმას, რომელმაც ურიასტანში მოსვლისა თანავე შეიპყრო მისი გული და გონება. სულ იმის ფიქრში იყო, ყველას იმის ვინაობასა ჰკითხავდა მაგრამ ვერაფერი გაეგო, სახელიც-კი არავინ იცოდა.

ხშირად სიზმარშიაც ჰხედავდა ხოლმე, მაგრამ მაშინაც იმას თვალებში ისეთი სიმშვიდე, ისეთი სალოება და მიტევება იხატებოდა, რომ გულ-განგმირული გამოიღვიძებდა ხოლმე და სასოწარკვეთილებით კითხულობდა: „ვინ უნდა იყოს? ნეტა ვინ არისო?“ მარად იმეორებდა ამ სიტყვებს, მაგრამ პასუხის მგებელი არავინ იყო. ეხლა ვერსად იპოვნა ცეზარიაში, ხოლო რამდენისამე ხნის შემდეგ-კი ნახა თუმცა უკანასკნელად.

გავიდა რვაწელიწადზედ მეტი, რაც პილატე ურიასტანში მოვიდა. როგორც ამ რვა წლის წინად, პილატეს ეხლაც მოუხდა, სამსახურის გამო, მისგან ათვალწუნებულს იერუსალიმში მისვლა. როგორც ამ რვა წლის წინად,

დამამტკიცებელი თვით დავით წინასწარმეტყველის ნათქვამი სიტყვებია: „ნეტარ არს კაცი, რომელმან იცის გალობა შენი, უფალო“. თვითონ დავითი როგორს გალობას ამბობდა არ ვიცი, ხოლო ის-კი ეჭვს გარეშეა, რომ იმისი ნათქვამი სიტყვები მთელს კაცობრიობას შეეხებოდა; კერძოობას და მარტო «ჩემობას» წინასწარმეტყველი ვერ შეიმშვნევდა.

უთუოდ ყოველივე ეს კარგად შეგნებული ჰქონიათ იმათ, ვინც გალობის გადაღების საქმეს თანაუგრძნო და შემწეობა აღმოუჩინა. რასაკვირველია დიდი მადლობა გვმართებს ყველასი, ხოლო ეს მადლობა უფრო მადლიანი, მარილიანი და შემომწირველთა ნამოქმედარის სიკეთის სანაცვლო-სამაგიერო მაშინ იქნება, როცა გაღებული ფული თავისს დანიშნულებას მიაღწევს, იმედი გამართლდება და სანანური შეიქმნება არა დახარჯვა, არამედ დაუხარჯველობა ამ საქმისათვის.

დანაპირები ვიყავ ანგარიშის გამოცხადებას და ეხლა ვასრულებ ამ დაპირებას.

გალობის ნოტებზედ გადაღებისა და დაბეჭდვის სასარგებლოდ მიღებული მაქვს 656 მან. და 5 კ. წარსულის 1893 წლის სექტემბრიდგან ამა წლის 15 დეკემბრამდე ბ-ნ ფილიმონ ქორიძეს სხვა-და-სხვა დროს გაეგზავნა 580 მან., ბ-ნ ანტონ დუმბაძეს 278 მან., ბ-ნ მოლარიშვილს 20 მან. სულ 878 მან. მაშასადამე მეტი დახარჯულა 221 მან. 95 კ. ჩემთან სტამბაში ამხანაგად შემოსულთა: ე. კერესელიძისა, ვ. გძელიშვილისა და ს. ლოსაბერიძის თანხმობით ეს მეტი დანახარჯი ჩაიწერა სტამბის გასავლის არ-დასაბრუნებელს ხარჯში. ბეჭდვა საგალობელთა უკვე დავიწყეთ, გალობის გადაღების საქმეც შეუჩერებლად მიდის. მხოლოდ ერთი დაბრკოლება უდგას წინ ამ საქმეს. ბ-ნი ანტონ დუმბაძე ოჯახის კაცია და ამისთანა კაცისათვის თითოეული საათიც-კი ძვირფასია. ოჯახის საქმე ნებას არ აძლევს მთლად ამ საქმეს შესწიროს თავისი დრო. ღონე და საშუალება ამ საქმის გასწორებისათვის მხოლოდ ერთად-ერთია.

ბ-ნს ანტონს სულ ნასწავლი, განათლებული და შეძლებული შვილები ჰყავს. ამისთანა შვილებს მოხუცებულის მამის უზრუნველ ყოფა სულ ადვილად შეუძლიათ. სწავლასა და განათლებას თუ-კი რამ შეუძლიან, ამაზედ უკეთესს შემთხვევას სადღა შეხვდება კაცი. ბევრი ინატრებს კიდეც იმათს ალაგას ყოფნას. ინატრებს იმიტომ, რომ ღონე და საშუალება ექნება მშობლისა და სამშობლოს ვალი შეასრულოს და ამ მოვალეობის ნაყოფით დასტკბეს.

როგორც გავიგეთ, ერთს მათგანს კიდეც გამოუთქვამს ეს სურვილი, ხოლო რომელია იგი და რომელი დაიწყებს პირველად ამ საქმეს, ამას შემდეგი გვაჩვენებს.

რა არის დაწერილი და რა დასაწერი ამას შემდეგ მოვიხსენიებთ. აგრეთვე ვალდებული ვიქნებით საგალობელთა დაბეჭვდის ანგარიშიც ვაუწყოთ საზოგადოებას. ჩვენი განზრახვაა: როცა საგალობლები დაიბეჭდება და გაიყიდება თუ რამ მოგება დარჩება, ისევ საგალობელთა გადაღებასა და გაუკეთესებას მოხმარდეს.

მომქმედი კეთილის საქმისა თუმცა თითონ არა თხოულობს ჩვენგან არც ქებასა და არც მადლობასა, რადგან იგი ამ ქებასა და მადლობას თავისისავე გაკეთებულს საქმეში ჰპოულობს, მაგრამ მაინც ვალდებულნი ვართ ამისთანა კაცს თანაგრძნობა გამოუცხადოთ და იმისი ნამოქმედარი სიკეთე სიტყვით ან წერით გამოვთქვათ. ამითი კეთილის მომქმედი წახალისდება და უფრო გულიანად და უფრო ბევრს საქმეს გააკეთებს. ამიტომ არ შეიძლება დავმალოთ და არა ვსთქვათ, რომ ეხლანდელ გალობის ნოტებზე გადაღების საქმეში დიდი შრომა და მეცადინეობა გასწია ბ-ნ არისტო ქუთათელაძემ.

მ. შარაძე

## თეატრის მატიანე

### საიუბილეო წარმოდგენა

„დამნაშავეს ოჯახი“ დრამა 5 მოქ. ჯიაკომეტისა.

„დატრიალდა ჯარა“ ვოდ. 1 მოქ. გადმოკეთ. კ. ყიფიანის მიერ.

გუშინ წინ 28 დეკემბერს, ქართულმა სცენამ იდღესასწაულა 25 წლის იუბილეი პატივცემულის არტისტის კოტე ყიფიანისა; საზოგადოებამ არ დასტოვა უყურადღებოდ ეს იშვიათი და ყველა ქართველისათვის სასიხარულო დღე. თეატრი გაჭედილი იყო რჩეულის საზოგადოებით და სადღესასწაულოდ მორთული მწვანით; ლოჟების თავებზედ გაკრული იყო ქაღალდი, რომელზედაც ეწერა სახელები იმ პიესებისა, რომელშიაც მეუბილეიეს მონაწილეობა მიუღია.

იუბელიარის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „დამნაშავის ოჯახი“, დრამა ჯიაკომეტისა, რომელშიაც ერთი უპირველესთაგანი როლი კორრადოსი თვით კ. ყიფიანსა ჰქონდა. საშინლად აღელვდა მთელი საზოგადოება როდესაც სცენაზედ გამოჩნდა ყიფიანი მთიელის ტანისამოსში, საშინლად დაუძლურებული 14 წლის ტუსაღობით, თმა-წვერ წაზრდილი, ხელში ჯოხით და წამოსასხამით. სახეზედ მშვენივრად აღენიშნა საზრელი სულიერი ტანჯვა და სულის კვეთება, რომელიც ნამდვილის ხელოვნებით გაატარა მთელს წარმოდგენაში.

მან ნათლად დაგვანახვა სულიერ ბრძოლა მამისა და ქმრისა, რომელსაც ერთისა დამეორეს უფლებაც დაკარგული აქვს და ეძებს თოთხმეტის წლის შემდეგ სრულის იმედით, რომ კვლავ დაიბრუნებს თავისს საყვარელთ არსებათ და მით გამოისყიდის 14 წლის მწარე ტანჯვას. მაგრამ არა! იმედი უმართლდება, მაგრამ ხედავს, რომ იგი თუ ხელს არ შეუშლის იმათს ბედნიერებას, არაფერს გაუკეთებს და ამიტომ სიცოცხლეს სწირავს ცოლისა და ქალის ბედნიერებას და თავს იკლავს. სხვა არტისტებიც მხარს აძლევდნენ ბ-ნს ყიფიანს, — უფრო-კი ქ-ნი ავალიშვილისა, რომელმაც მშვენივრად დაგვიხატა როზალიას სულიერი ბრძოლა.

დრამის წარმოდგენის შემდეგ დაიწყო მისალმება და პატივისცემა თვით იუბელიარისა. სცენა მდიდრულად იყო მორთული სხ. და სხ. ცხელის ქვეყნების მცენარეულით და ყვავილებით. სცენაზედ თავი მოეყარათ სხ. და სხ. სცენების წარმომადგენელთ, იმისს ამხანაგებს არტისტ-ქალებს და კაცებს. მუსიკა უკრავდა. საზოგადოება დიდის და ხანგრძლივის ტაშის კვრით მიეგება; დაიწყო ადრესებისა და საჩუქრების მირთმევა. ადრესები წაუკითხეს: „ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობისაგან“ ბ-მა გ ჟურულმა, „ქართველ არტისტებისა ვ. აბაშიძემ, დრამატიულ საზოგადოებისა ნ. ავალიშვილმა, ბ-ნმა ფორკატიმ რუსულ სცენისა და სახელმწიფო თეატრის არტისტთა მხრივ, სომხურ დრამატიულ დასისაგან ბ-ნმა პეტროსიანმა და წაკითხულ იქმნა აგრეთვე ჰაზირას ლექსი. მისალოცი დეპეშები მოუვიდა: ჟურულისა და მაქარაშვილისაგან, პეტროვისა, მოსიძისა, შარაშიძისა და ლოლობერიძისაგან, ვოლსკისაგან, მეუნარგიისა და ნიკოლაძისაგან ერთად, ქუთაისის დრამატიულ ამხანაგობისაგან, კ. მესხისაგან, პ. უმიკაშვილისაგან და შორაპნის საზოგადოებისაგან.

საჩუქრად მიართვეს: ამხანაგობამ ვერცხლის სერვიზი, ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობამ ვერცხლის ფიალა, საზოგადოებამ პაკეტით ფული, ალბომი და ერთმა ყმაწვილმა კაცმა ი. ბარათაშვილმა თავისი პირველი შრომა „ალიაქოთი“, ვოდ. 1 მოქ., რომელსაც იუბელიარს უძღვნის. საზოგადოება დიდხანს უკრავდა ტაშს.

დასასრულ, წარმოადგინეს ყველასაგან ცნობილი, ქართველ საზოგადოების საყვარელი ვოდ. „დატრიალდა ჯარა“, რომელმაც დიდად დაატკბო მაყურებელნი. ვოდევილის როლები საგანგებოდ იყო განაწილებული მოთამაშეთა შორის. სესიას როლს თამაშობდა იუბელიარე და მისი ამ როლში თამაშობა, უმისოდაც უნაკლულო, საიუბელეიო დღესასწაულმა გააათკეცა. მეტად ნასიამოვნები და გახარებული დარჩა საზოგადოება წარმოდგენით, რომელსაც ერთნაირად ამშვენებდნენ ქ-ნნი: საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა და ბ-ნი აბაშიძე, რომელიც ამ ღამეს უფრო მეტის ხალისით თამაშობდა.

ი—ს.

## თეატრი და მუსიკა

—

პარასკევს 30 დეკემბერს.
სალტოს მონაწილეობით
**ერნანი**
4 მოქმედ. ოპერა ვერდისა.

—

შაბათს, 31 დეკემბერს
ჯირალდონის მე-2 სადებიუტოდ და სალტოს მონაწილეობით

I

იტალიანურს ენაზედ
მიმოსნი („паяцы“)
2 მოქმედ. ოპერა, ლეონკოვალლოსი.

II

პატიოსნება სოფლისა
1 მოქმედ. ოპერა მასკანისა.

დილის წარმოდგენები დაიწყება $12_1/_2$ საათზედ, საღამოსი-კი 8 საათზედ.

# დეპეშა

28 დეკემბერი.

**პეტერბურგი** „გრაჟდანინი“ იუწყება, რომ ფინანსთა მინისტრის

---

ეხლაც მოახლოვებული იყო პასექი ურიასტანელებისა.

გაზაფხულის დილა იყო. საბინას ტანჯვით გაეტარებინა ღამე. სიზმარში ისევ ის ენახა. თუმცა კარგად არ ახსოვდა, რა ნახა სიზმარში, მაგრამ საშინლად-კი იტანჯებოდა და მიზეზი ამ ტანჯვისა ის იყო, ისევ ის, მიუწდომელი და უცნობი ჭაბუკი.

როგორც ამ რვა წლის წინად, გალვიძებისათანავე რაღაც ხმაურობა შემოესმა, ათასი კაცი ლაპარაკობდა და უშვერის სიტყვებით იმუქრებოდა. როგორც ეტყობოდა, ხალხი იმათ სასახლისკენ მიისწრაფოდა. საბინამ მონა-ქალებს არც-კი დაუცადა, საჩქაროდ გადაიცვა ტანისამოსი და ფანჯარასთან მივიდა.

რა საზარელი სანახავი იყო! ხალხი ყვირილითა და ხელების ქნევით სასხლისკენ მიდიოდა როგორც მაშინ, ეხლაც ბრბოს წინ მოუძღოდა სინედრიონი, მღვდელ მთავარ ანნას და კაიაფას მეთაურობით! როგორც მაშინ-ეხლაც მოჰყავდათ ჯარის კაცებს ვიღაც შებოჭილი კაცი. ოო! რამდენი ტანჯვა იხატებოდა გამხდარს, უბედურის ნაცემ-ნაგვემს სახეზედ. სასახლეს რომ დაუახლოვდა, თვალები ზეცას მიაპყრო. თავ-განწირულების კივილი გულშივე ჩააკვდა საბინას! ის იყო! იმის თვალებია, იმ ჭაბუკისა. მხოლოდ იგი ჭაბუკი აღარ იყო. ხანსა და ტანჯვას იმისი ნორჩი სახე ღრმა ჭმუხვნებით დაეღარა. ღბილი წაბლის ფერი თმა და წვერი აწეწილი ჰქონდა, ტანსაცმელი დაჭმუჭნული და ადგილ-ადგილს დახეულიც. გაშეშებული, აკანკალებულის მუხლებით, ძლივს-ღა დამდგარიყო საბინა, მაგრამ თვალებად გარდაქცეული შესცქეროდა ბრბოსა.

ნუ თუ ისევ სიზმარშია? არა, ეს სიზმარი აღარ არის. აგერ მისი ქმარიც გამოვიდა. ლაპარაკობს კიდეც რაღაცას. მაგრამ ხალხის გრგვინვალაპარაკში არა ისმის-რა. კაიაფამ რაღაც უპასუხა, მაგრამ რა? არაფერი ისმის. სმენად გადაქცეულმა საბინამ მარტო სიტყვას „ბოროტ-მოქმედს“ მოჰკრა ყური. განა ის ავაზაკია, ის? საბინა საშინლადა თრთოდა.

პილატე კიდევ ლაპარაკობს, ანნამ რაღაც უპასუხა, მგონი „არ შეგვიძლიან მოვკლათო“. საბინამ ასე გაიგონა.

— ოჰ, ყოვლად შემძლებელნო ღმერთნო! ის უნდა მოჰკლან? წამოიძახა საბინამ: მერე რადა, რა დააშავა!?

აგერ ის ზემოთ ამოდის, მარტო ის. ხალხი ძირს დარჩა. ყვირილი და ხმაურობაა. საბინამ ყურებზედ ხელი დაიფარა. დაცემისა ეშინიან. ის პილატესთან ერთად პრეტორიაში შევიდა.

საბინამ გულზედ ხელი მოიჭირა, რადგანაც ისე უცემდა და. სწიწკნიდა, თითქოს გაგლეჯას ჰლამობსო, ფეხ-აკრეფით მივიდა პრეტორიის კარებთან და ყური დაუგდო. ვიღასიც ღრმა ოხვრა შემოესმა. ეს იმისი ოხვრაა... კიდევ უგდებს ყურს. ეს-კი იმის ქმრის ხმაა.

— შენა ხარ მეუფე ურიათა? ჰკითხავს იგი. მეფეა! აა! აი, ვინა ყოფილა. ეს საკვირველი ჭაბუკი, ეს წამებული — მეფეა თურმე... საბინა უფრო აღელვებული უგდებდა ყურსა. ეხლაკი ის ლაპარაკობს. ოო, რა ნელა, რა ტანჯულის ხმითა ლაპარაკობს! დიახ, ეს იმისი ხმაა, ეს ის ხმაა, რომელიც ამ რვა წლის წინად გაიგონა: „ნუ სცემ მაგას, მე მივეშველები ჯვარის ატანასაო“...

— შენით ლაპარაკობ მაგას, თუ სხვამ გითხრა რამე ჩემს შესახებ... ამას ის, ჰლაპარაკობს, აგერ ამოიოხრა კიდეც.

საბინა კვლავ უგდებდა ყურს და თან სცდილობდა გულის ცემა შეეკავებინა. ახლა ამისი ქმარი ლაპარაკობდა...

— შენმა ხალხმა და მღვდელ-მთავრებმა გადმომცეს შენი თავი. განა რა ჩაიდინე?

— რა ჩაიდინა? რა უნდა ჩაედინა ამ მშვიდს, ამ კეთილს ადამიანს. აგერ თითონვე უპასუხებს...

— მეუფება ჩემი ამ ქვეყნიური არ არის (ოჰ, მართლა მეფე ყოფილა! დიდო ღმერთებო! მეფე და ასე შეუბრალებლად, ასე უღიერად შეკრულ ნაცემი?) მე რომ ამ სოფლიური მეფე ვიყო, ჩემი ხელ-ქვეითნი დამიცავდნენ და ურიასტანელებს არ ჩავუარდებოდი ხელში: ამ ჟამად ჩემი მეფობა აქ არ არის...

— საწყალი, საწყალი! ის სხვა სამეფოს მბრძანებელი ყოფილა. ვეღარ შეიმაგრა თავი საბინამ და ტირილით წარმოსთქვა.

— მაშ მართლა მეფე ხარ? კვლავ ჰკითხა პილატემ.

— შენ თითონვე სთქვი, რომ მეფე ვარ, მშვიდად უპასუხა მან: — ამიტომ დავიბადე და ამიტომ მოველ ქვეყნად, რათა ვამცნო ერს ჭეშმარიტება.

სიჩუმეა, სიჩუმე, პრეტორიაში აღარავინ ლაპარაკობს, მარტო ქვეიდგან-ღა ისმის ხმაურობა. მაგრამ აი კვლავ პილატეს ხმა გაისმა.

— ჭეშმარიტება! რა არის ჭეშმარიტება?..

სამარებრივი დუმილია... იგი არ უპასუხებს. საბინამ თავისს ქმრის ლაპარაკის კილო იცნო. როდესაც იმას „ჭეშმარიტების შესახებ დაელაპარაკებოდნენ ხოლმე, იგი უთუოდ მხარებს აიწევდა. სადაური ჭეშმარიტება, რა ჭეშმარიტება, როდესაც იგი არ არსებობს?!. ავგუსტმა ბრძანება გამოსცა? — აი ჭეშმარიტება. სიტყვა სთქვა ტიბერიმ — აი მეორე ჭეშმარიტება“. პილატეს ხმაში თითქოს ეს ისმოდა: „ეს საცოდავი, ნაცემ-ნაგვემიც ჭეშმარიტებას ჰქადაგებს. საბრალო, ოცნებას გაუტაცნიაო“.

პრეტორიაში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო ნაცნობი ოხვრა-ღა გაისმოდა.

კარები გაიღო და ისევ მალე დაიხურა. პილატე და ის გამოვიდნენ პრეტორიიდგან. ცრემლით სავსე თვალებიანმა საბინამ ისევ ფანჯარას მიაშურა. დიახ, ორივენი დერეფანში გავიდნენ. ის — ისევ ისეთი მშვიდი იყო. როგორის სიბრალულით, როგორის მიტევების თვალებით შესცქერის თავისს მოსისხლე მტრებს. „საცოდავნო, საცოდავნო! რას სჩადით?“ თითქოს ამბობს იმისი თვალები.

აგერ პილატემ ლაპარაკი დაიწყო. აცა, აბა რას იტყვის იმისი ქმარი. საბინა სულგაკმენდილი შესცქეროდა.

— მე ვერავითარი ბრალი ვერ გამოვუნახე ამ კაცსაო! გაიგონა საბინამ.

— ჩემო კარგო, ჩემო პილატევ: ამას ხომ ის ამბობს.

— გარნა თქვენ ჩვეულებად გაქვთ! პასექის დროს ერთ-ერთს ბრალდებულს გაგითავისუფლებთ ხოლმე.

ამხანაგი ივაშჩენკოვი ავად გამხდარა.

**ლონდონი.** სეულაში მეფემ სადღესასწაულოდ გამოაცხადა კორეს დამოუკიდებლობა.

**პარიზი.** პალატის პრეზიდენტად ამორჩეულ იქმნა ბრისსონი.

**ბერლინი.** გუშინდელს საღამოს იმპერატორმა ფლოტის შესახებ, რეფრატი წაიკითხა, რომელმაც ორ საათს ნახევარს გასტანა. ამასთანავე თხოულობდა, რომ გაძლიერებულ იყოს ფლოტიო, და აღწერა ის ვითარებანი, რომელშიაც იმყოფება ჩინეთისა და იაპონიის ფლოტი ბრძოლის ასპარეზზედ. იმპერატორმა თავისი სიტყვა იმით დაამთავრა, რომ ითხოვა ფლოტის გასაძლიერებლად საჭირო ფული გავიღოთ და მით გავახაროთ გერმანიის სააზალშე[illegible]ო პოლიტიკა თავადის ბისმარკისა მის დაბადების დღიდგან 80 წლის შესრულებისათვისო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,39 | 7,41 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $147\frac{1}{4}$ | $147\frac{3}{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $224\frac{1}{4}$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $194\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | -- ,, | $101\frac{1}{2}$ |
| 5% . . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $99\frac{1}{2}$ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $97\frac{3}{4}$ | — ,, | — ,, |

გსურთ გაგანთავისუფლოთ მეუფე ურიათა?

— არა, არა, ეგ-კი არა, ბარრაბა!

— ისევ ბარრაბა. ის ავაზაკი, რომელიც ამ რვა წლის წინადაც გაანთავისუფლეს. საბინას როდი დავიწყებია ეს ამბავი.

— ეს რას ჰნიშნავს, პილატე და ის კვლავ სადღაც მიდიან. ხოლო პრეტორიაში-კი არა, დაბლა... ეზოსკენ. ბრბომ სული გაკმიდა... რაღაცა უცდის. ნეტა რას უნდა უცდიდეს?

ეზოდგან ყვირილი, ხმაურობა მოისმის. „გიხაროდენ, მეუფეო ურიათაო!“ ნეტა რას ჰნიშნავს, ნუ თუ მიიღეს, იწამეს მეფედ?

ო, ყოვლად შემძლებელნო ღმერთნო! ave, ave, rex Judaeae! (გაუმარჯოს, გაუმარჯოს მეფეს ურიასტანისას)!“

არა ეს მილოცვა არ არის. სიცილია. სიცილი ბრიყვი, თავხედი ხალხი ურცხვილოდ კისკისებს. კეთილნი დედანი ურიასტანისანი!.. საბრალონი ცრემლს აფრქვევენ. საბინამ მოძტირალე მანდილოსნებს მოჰკრა თვალი. „კეთილნო, საყვარელნო!“

— მაგრამ ეს რას ნიშნავს? იგი მეფურის ძოწეულით შემოსილია. თავზედ-კი... ო, ღმერთებო!.. ეკლის გვირგვინი ადგას... სისხლი ნაკადულსავით ჩამოსდის კეთილს სახეზედ... უწმინდური კისკისი გაისმის, ქალები-კი იმდუღრებიან.

პილატე რაღასაც ლაპარაკობს „აი კაციო“!.. არაფერი ისმის-რა.

— ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგეო!.. გვრგვინავს არე-მარე.

— ჯვარს უნდა აცვან? მერე ვინ? ისა? საბინას გულს შემოეყარა და მოჭრილ ხესავით ძირს დაეცა. მონაქალეებმა ცოცხალ-მკვდარი საწოლს ოთახში შეიყვანეს.

— სად არის, სადა? წამოიძახა საბინამ, გონს მოვიდა თუ არა და პილატეს შეძრწუნებულს სახეს შეხედა.

— ვინა?

— აი ის, ძოწეულით რომ შეჰმოსეს!

— ჰოო! ისა? გოლგოთაზეა.

— მეორე რად მიეცი ხელში?

— მაშ არა-და, იმის გულისთვის მეფის წყალობას დავკარგავდი. თურმე ტიბერისთან დავუბეზღებივართ... რომში მიბარებენ კიდეც. სირიიდგან ვიტელის რაღაც მიუწერია ჩემს შესახებ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს მაინც მითხარით, ვინ არის ის? ის, რომელიც ეხლა გოლგოთაზეა.

— არ ვიცი! მხრების აწევით უპასუხა პილატემ და გარედ გავიდა.

ი.—ცანი


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზროჯასჯევიჩი**,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**გ. ი. ფრანცუსი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)



С.-ПЕТЕРБУРГСКОЙ ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРИИ

საპონი ბორნო-გლიცერინისა

საპონი ლანოლინო-გლიცერინისა

პირის კანს და ხელებს არბილებს და ათეთრებს.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П.Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(9—3—2)



# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.



„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . . | „ | 20 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |



# 1895 г.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА

## „ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

СЪ БЕЗПЛАТНЫМЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ

„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствущаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.

Выходитъ два раза въ недѣлю: по четвергамъ и воскресеньямъ

**безъ предварительной цензуры**

**Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою 7 руб.**

Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—4 руб. и къ 1-му апрѣля—остальные—3 рубля.

*(С.-Петербургъ, Невскій пр., д. № 59, кв. № 1).*

ПРОГРАММА: Передовыя статьи.—Законодательная хроника въ Россіи.—Обзоръ постановленій отечественнаго и иностраннаго законодательствъ.—Статьи и замѣтки по вопросамъ, возникающимъ въ судебной и административной практикѣ.—Вѣсти и слухи.—Корреспонденціи изъ Россіи и заграницы.—Выдающіеся процессы и рѣчи.—Фельетонъ.—Движеніе по государственной службѣ (приказы министерствъ).—Дѣйствія правительства (собранія узак. и распор. прав.).—Рѣшенія Правительств. Сената и циркуляры подлежащихъ министерствъ.—Списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣреностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія).—Объявленія

Вмѣстѣ съ этимъ, подписчики, внесшіе полную годовую плату за газету, могутъ обращаться въ контору редакціи «Юридической Газеты» за справками по дѣламъ, какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ. Порученія эти контора редакціи принимаетъ на себя при соблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе справокъ о резолюціяхъ Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительств. Сената производится въ „Юридической Газетѣ“ въ отдѣлѣ „почтоваго ящика“ и притомъ не болѣе 3-хъ разъ въ теченіе года. Лица или учрежденія, желающія получать по дѣламъ Кассаціонныхъ Департаментовъ Сената справки по почтѣ, прилагаютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣлному дѣлу, а желающія получить ее по телеграфу, прилагаютъ кромѣ того и стоимость отвѣтной телеграммы. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго предметъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производится на условіяхъ особаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 2. Всѣ другія справки и порученія по всѣмъ вообще правительственнымъ, административнымъ и судебнымъ (центральнымъ и мѣстнымъ), общественнымъ, сословнымъ и частнымъ учрежденіямъ производятся не иначе, какъ на условіяхъ предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 3. Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся имущественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п. производится письменно по почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 4. Лица и учрежденія, обращающіяся къ намъ за справками, обязаны сообщить: а) бандероль, за которою получаютъ „Юридическую Газету“; б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какого присутственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ присутственнымъ мѣстомъ или должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба отправлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§ 5. Контора редакцій „Юридической Газеты“ также принимаетъ на себя и указаніе повѣренныхъ для веденія дѣлъ.



მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულ

## „მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზედ

ფასი ჟურნალისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 თვით „მწყემსი“ 5 მან. | | 6 თვით „მწყემსი“ 3 მან. | |
| — „ ორივე გამოცემა 6 „ | | — „ ორივე გამოცემა 4 „ | |
| — „ რუსული „ 3 „ | | — „ რუსული „ 2 „ | |

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად

1895 წლის „მწყემსი“-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ

## შოთას და დავით აღმაშენებელის

მოზრდილი მხატვრობა

შოთას სურათს იანვრიდგან მიიღებენ ხელის-მომწერნი და დავით აღმაშენებელისას წლის ბოლოს

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „Мцкемси“ и „Пастырь“.


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Декабря 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.